

კაცი, რომელსაც სიცოცხლე უყვარდა

— ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს მოსკოვი! ამხანაგო რადიომსმენელებო, ვიწყებთ პირველ საფეხბურთო რადიორეპორტაჟს ქართულ ენაზე მოსკოვიდან. ბედნიერება მე მხვდა წილად საპატიო და საამაყო მოვალეობის შესრულებისა — სიხარულით ამცნობს თანამემამულეებს ახალგაზრდა ეროსი მანჯგალაძე საბჭოეთის დედაქალაქიდან.

თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, აკაკი ხორავა კი, თბილისში, რადიომიმღებთან ბობოქრობს — თან თბილისის დინამოს ქომაგობს, თან კი მოსკოვში მის დაუკითხავად გაპარულ სტუდენტზე ბრაზობს:

— ჩამობრძანდები შენ აქ და გაიგებ, რა ბედნიერებაც გხვდა წილად, ვაჟბატონო! — ეროსის ტონალობაშივე შესძახა ხორავამ.



სარკმლის განვითარება

კავი მანჯგალაძემ ვაჟი სკოლის სცენაზე იხილა, სასიამოვნოდ აპოცებული და ნასიამოვნები დარჩა, თურმე რა ნიჭიერი ყო- ფილა მისი მორიდებულ ბიჭი, მთელმა სკოლამ დიდი ოვაციით დაჯილდოვა, სპექტაკლის რეჟისორიც საგანგებოდ მივიდა ასთან და ურჩია – ნიჭიერი ბიჭი გყავთ და მსახიობობას ნუ დაუშლითო.

რას წარმოიდგენდა თამარ ბენდუქიძე, რომ მისი ერიკო „ქართველი ლევიტანი“ გახდებოდა და თავისი განუმეორებელი ხმის წყალობით მოელს ქვეყანაზე მოიხვეჭდა სახელს. ალბათ დედის ინტუიციამ უკარნახა, როდესაც შევილს რადიოკომიტეტში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება ურჩია, თუმცა მანამდე ეროსის კიდევ დიდი გზა უნდა გაევლო...“

„უსათუოდ მსახიობი უნდა გავხდე!“ – ფიქრობდა სკოლის სცენაზე მდგარი მეათე ელასელი ეროსი, გრძნობდა – კარგად გამოსდიოდა ეს საქმე, მაგრამ იმასაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს დამოუკიდებლად მაინც ვერ გადაწყვეტდა, ჯერ მშობლებისთვის უნდა ეკითხა რჩევა.

რას წარმოიდგენდა თამარ
ბენდუქიძე, რომ მისი
ერიკო „ქართველი
ლევიტანი“ გახდებოდა.

არადა, ვიდრე სასკოლო წარმოდგენაში მთავარ როლს მი-იღებდა, არც კი დაფიქრებულა ამაზე, ბავშვობაში სრულიად სხვა სფერო იზიდავდა – ჯერ მათემატიკოსობა უნდოდა, შემ-დეგ კი სამხედრო კარიერაზე დაიწყო ფიქრი. თუმცა მომა-ვალ პროფესიაზე უფრო მეტად, ოფიცრის ფორმა ხიბლავდა, იმ დროს სამხედროები განმასხვავებელ ნიშნებს საყელურებზე ატარებდნენ და ოფიცრებს სხვადასხვა ზომისა და ფერის რომ-ბები ჰქონდათ მიკერებული. ეროსის სწორედ ეს რომბები მოს-წონდა და თავადაც სურდა ასეთი ფორმა ჰქონოდა... როდესაც

კავი მანჯგალაძემ ვაჟი სკოლის სცენაზე იხილა, სასიამოვნოდ კაოცებული და ნასიამოვნები დარჩა, თურმე რა ნიჭიერი ყო- ფილა მისი მორიდებულ ბიჭი, მთელმა სკოლამ დიდი ოვაციით დააჯილდოვა, სპექტაკლის რეჟისორიც საგანგბოდ მივიდა სასთან და ურჩია – ნიჭიერი ბიჭი გყავთ და მსახიობობას ნუ დაუშლითო.

წარმატებული პრემიერის შემდეგ სახლში მიმავალი ძმები კაცხარებით კამათობდნენ თავიანთ სამომავლო პროფესიებზე. წერზო ესუმრებოდა კიდეც უმცროს ძმას – იცოდე, ჩვენი დაპ- ტიუქება და ბილეთების გამოგზავნა არ დაგავინცდეს შენს პექტაკლებზე... შინ მისულებმა კი დედას დაწვრილებით უაბეს იმდღვანდელი ამბები – თამარი თავად ვერ წავიდოდა სანახავად, უბედური შემთხვევის გამო, ახალგაზრდა სალი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ლოგინს იყო მიჯაჭვუ- ლი, ამიტომ შვილები დედას განსაკუთრებული ყურადღებით და ითბოთი ეპყრობოდნენ. წლების შემდეგაც კი, უკვე ზრდასრუ- ლი ეროსი დღეში ათასჯერ ურეკავდა დედას, ატყობინებდა სად იყო, უყვებოდა ყველა წვრილმანს. და-ძმასაც სულ ახსენებდა დედამ თუ იცის სად ხართ, დაურეკეთ და შეატყობინეთო... ერხემლის ტრავმის გამო, თამარი ხშირად დაჰყავდათ წყალ- ცუბოში სამკურნალოდ, ამიტომ ბიჭებიც ადრეული ასაკიდანვე ქეჩვივნენ დამოუკიდებლობას და ერთმანეთზე ზრუნვას. დე- დის არყოფნა განსაკუთრებით ძნელი ნაბოლარა ბელასთვის იყო, ატირებული მიირბენდა ეროსისთან და ისიც ამშვიდებ- და, ართობდა, როგორც შეეძლო, ძილის წინ ზღაპრებს უყვე- ბოდა და ყვავილებისთვის ლამაზ ქოთნებსაც პირდებოდა... ეროსიმ ჩაძინებულ დას ფრთხილად გადააფარა საბანი და დე- დის მონატრებას თავადაც რომ როგორმე გამკლავებოდა, შეე- ცადა ის დრო გაეხსენებინა, როდესაც ერთად და ბეჭდიერად ცხოვრობდნენ ღანირში, სამტრედის რაიონის ერთ ულამაზეს იოფელში. მოაგონდა საყვარელი ძროხაც, შინაური ცხოველ- ისთვის ფრიად შეუფერებელი სახელი – ტანგო რომ ერქვა. აახსენდა სოფლის პატარა სკოლაც, სადაც რეზოსთან ერთად დაწყებით კლასებში დადიოდა, პირველი როლიც იქ ითამშა – წლისას თურმე კურდლის განსახიერება მიანდეს. თვითონ კი აღარ ახსოვდა, მაგრამ დედა უამბობდა – თეთრი ტანსაც- ელი გეცვა და თავზეც თეთრი ყურები გეკეთა, სასაცილოდ დასტოდი სკოლის სცენაზეო... მალე მანჯგალაძების ოჯახს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს – რეზო წითელი არმისა რიგებში გაიწვიეს და აამამულო ომიც დაიწყო. მისგან მხოლოდ ერთი ბარათი მი- იღეს, სწორედ იმ დღეს, ომი რომ ოფიციალურად გამოცხადდა. სოკლე ხანში, თავზარდამცემი ამბავი შეიტყვეს – წერზო მანჯ- გალაძე უგზო-უკვლიოდ დაიკარგა... მის შესახებ სხვა ვერაფერი კაიგეს, ვერც მაშინ და ვერც მრავალი წლის შემდეგ. ეროსის არასოდეს უთქვამს ძმაზე – დაიღუპაო, ამის თქმის უფლებას ირც სხვას აძლევდა, იმედს ბოლომდე არ კარგვდა... რამდენ- მე ხანში, პოლიტიკური მუხლით, აკავი მანჯგალაძეც დააპ- ტიმრეს... ლოგინს მიჯაჭვული დედის და მცირენლოვანი დის ერთადერთი ნუგებში ეროსიდა იყო, რომელიც ცდილობდა იმე- დი ბოლომდე არ გადაეწურა, სკეროდა, რომ ძმაც დაბრუნდე- ბოდა და უკანონოდ დაჭრილ მამასაც გაათვისუფლებდნენ... მ გაუთავებელ მოლოდინში დღები დღებს მისდევდა, წლები წლებს... რადიოკომიტეტის კონკურსში რამდენიმე ათეული ახალ- გაზრდა იღებდა მონაწილეობას. სხვადასხვა ტემპრისა და ცდერადობის ხმას კომისიის წევრები რეპროდუქტორიდან ის-

მენდინენ, კონკურსანტის სახეს კი ვერ ხედავდნენ. ახალი დიქტორის პოვნის იმედი საბოლოოდ რომ გადაინურეს, უცებ საოცრად სასიამოვნო, დაბალი და გაუძედავი ხმა მოესმათ, რომელმაც ჯერ მშრალად და უხალისოდ ჩაიკითხა საინფორმაციო ტექსტი, შემდეგ კი „ვე-ფეხისა და მოყმის“ ბალადა სიამოვნებით დააგუგუნა და საერთო აღტაცებაც გამოიწვია. ყველამ ჩათვალა, რომ ამ ძლიერი ხმის პატრონი ზრდასრული, დარბაისლური იერის მამაკაცი იქნებოდა და თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც რადიოკომიტეტის თავმჯდომარის, რეჟისორ ლეო ესაკიას კაბინეტში მაღალი და გრძელცხვირა, 17 წლის გამხდარი ყმანვილი მორცხვად აიტუზა. იმ დღიდან ეროსი მანჯგალაძე საქართველოს რადიოს ერთ-ერთი საუკეთესო დიქტორი და უცვლელი ხმა გახდა. ომის დროს მთელი საქართველო რადიოდან იგებდა ფრონტის ახალ ამბებს, ხალხიც მოუთმენლად ელოდა ეროსის ხავერდოვან ხმას და დახვენილ მეტყველებას. ქართველები ამაყობდნენ – ჩვენი ეროსი რუსების ლევიტანს არ ჩამოუვარდებაო! ვინც რადიოს ცნობილ დიქტორს სახეზე არ იცნობდა, ხშირად ეგონა, რომ ეს გამხდარი ყმანვილი „იმ“ ეროსის მხოლოდ და მხოლოდ კარგ პაროდიას აკეთებდა, ვერ ნარმოედგინათ, ხავერდოვანი ბარიტონის პატრონი ასეთი ახალგაზრდა კაცი თუ იქნებოდა.

რადიოში საქმე თავზესაყრელად ჰქონდა, მაგრამ მსახიობობაზე ოცნება მაინც არ შეუწყვეტია და 1941 წელს საბუთები თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა. გამომცდელები ეჭვის თვალით უყურებდნენ არაჩვეულებრივი ხმის მქონე, მაგრამ საოცრად მორცხვ და შებოჭილ აბიტურიენტს. როგორც ჩანს, სწორედ ამ გადამეტებული მორიდებულობის გამო, თავდაპირველად ეროსი ჩარიცხულთა საში ვერ მოხვდა. „დაწუნებულმა“ ახალგაზრდამ ხელი არ ჩაიქნია, მისთვის თეატრი და მსახიობის პროფესია უკვე ცხოვრების მიზნად გადაცემულიყო და ასე ადვილად ვერავინ დაათმობინებდა ამ ოცნებას, ამიტომ როგორლაც მოახერხა და იანვრამდე თავისუფალ მსმენელად დაუშვეს, იანვრის გამოცდების შემდეგ კი, უკვე სრულუფლებიან სტუდენტად ჩარიცხეს.

რადიოში მუშაობის გამო, ეროსის
ლექციების გაცდენა ხშირად უხდებო-
და. ერთხელ კი, საქართველოს რადიო-

კომიტეტმა, თავისი ახალგაზრდა დიქტორი საგანგებოდ მიავლინა მოსკოვში, რათა საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟი პირდაპირ საბჭოეთის დედაქალაქიდან წაეყვანა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოსკოვიდან ქართულად უნდა გადმოეცათ რადიორეპორტაჟი და საპატიო მისია ახალგებდა ეროსი მანჯგალაძეს ანდეს. ეროსი ორ ცეცხლს შეა იწვოდა – ასეთი მიმზიდველი შემოთავაზების ხელიდან გაშვება არ უნდოდა, არადა

ვენიერ დღეს, დაჰკრა ფეხი და გუნდთან ერთად მოსკოვში ამოყო თავი. კიდევ კარგი, რომ შეხვედრა თბილისის „დინა-მის“ გამარჯვებით დასრულდა და ამიტომ „თავხედი“ ეროსი ხორავას რისხვას და თეატრალურიდან გარიცხვასაც გადაურჩა.

„ეროსი, თქვენ ჯერ არა გაქვთ ნა-
პოვნი ის, რაც საჭიროა. უფრო ღრმად,
საფუძვლიანად უნდა ეძიოთ. და საერ-
თოდ, თქვენ უნდა გადაეწვიოთ დიქ-

დედის არყოფნა განსაკუთრებით ძნელი
ნაბოლარა ბელასთვის იყო, ატირებული
მიირბენდა ეროსისთან და ისიც ამშვიდებდა,
ზღაპრებს უყვებოდა და ყვავილებისთვის
ლამაზ ქოთნებსაც ჰპირდებოდა...

მის ჯგუფს თეატრალურ ინსტიტუტში სულ მალე სადიპლომო სპექტაკლი უნდა ჩაეყარებინა, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ისიც ასრულებდა. სტუდენტები დღესა და ღამეს ასწორებდნენ, რომ დროულად მოესწოროთ ასეთი საპასუხისმგებლო წარმოდგენის მომზადება, ეროვნისაც კარგად ესმოდა – ასეთ დროს ამხანაგებისა და საერთო საქმის მიტოვება ღალატის ტოლფასი იყო, მაგრამ იმდენად დიდი გახლდათ მოსკოვის ნახვისა და მატჩის ქართულ ენაზე წაყვანის, სარტყელი რომ აზაოზულია, იმ მშ-

ტორივით კითხვასა!“ – რეპეტიციაზე უკმაყოფილებას ვერ მაღავს რეჟისორი გორგი ტოვსტონოვი. ეროვნი კი ორ ცეცხლს შუა იწვის, რადიოკომიტეტი-დან პირდაპირ ინსტიტუტში გარბის, სადაც რეპეტიციები ნაშუადღევს იწყება და გვიან ღამემდე გრძელდება, ხშირად მთელი დღის მანძილზე ჭამასაც კი ვერ ასწრებს და მეორე დიღით გამოუძინებელი მიქრის სამსახურისკენ, შემდეგ ლექციებზე და რეპეტიციებზე... არადა საკურსო სპექტაკლში ძალიან მნიშვნილოვანი როლი აქვა, რომელიცა არა



კელა, ეროვნული და რეგიონული მაცხოვალის პარტნიორი



თლევი ყიფაში

გადაუჩერჩულებდნენ ხოლმე – ნეტა ამისგან რა მსახიობი უნდა გამოვიდეს, ადამიანებთან ლაპარაკისაც კი რცხვენიან – და სიცილ-კასკისით ჩაუქროლებდენენ ატუზულ ეროსის. განსაკუთრებული სიწილე კი მაშინ გადაჰკრავდა, როდესაც გვერდით სტუდენტი ელენე (ლენა) ყიფშიძე ჩაუვლიდა. თავიდან სატრფოს სიყვარულს ვერ უმხელდა, სამაგიეროდ შევარდებოდა ინსტიტუტის ბაბლიოთეკაში და ბიბლიოთეკაში გამგეს, რუსულან მიქელაძეს ანთებული თვალებით ამცნობდა – „რუსულან სოლომონოვნა, ულმერთოდ შეყვარებული ვარ!“ დედასაც არ გამოჰპარვია სარკის ნინ უჩვეულოდ დიდხანს მოტრიალე ვაჟის ბედნიერი გამომეტყველება...“

შეყვარებულებმა მალე იქორწინება, თუმცა, სამწუხაროდ, მათი ოჯახური ცხოვრება ძალიან ხანძოებელე გამოდგა... თეატრალურ წრეებში ჩუმად იმასაც კი ლაპარაკის ბენენენ, რომ კონფლიქტი ლენა ყიფშიძისა და გიორგი ტოვსტონოგოვის არა მხოლოდ პრივეტს ურთიერთობებმა გამოიწვია. იმაზეც ჭირაობდნენ, რომ ეროსისა და მის პედაგოგს შორის საკმაოდ დაძაბული საუბარიც შედგა, რომელიც ლამის ჩხებით დამთავრდა... საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ, აკაკი ხორავას რჩევითა და ხელშეწყობით, გიორგი ტოვსტონოგოვი რუსეთში გადავიდა სამუშაოდ, (მას საამისოდ სხვა მიზეზებიც ჰქონდა), ეროსი მანჯგალაძე და ლენა ყიფშიძე კი ერთმანეთს გაეყარნენ...“

„მესმის, რომ ეს ძალზე რთული ეპიზოდია, მაგრამ თქვენ აუცილებლად უნდა იპოვოთ საჭირო ტონი, იგრძნოთ განწყობილება“ – უხსნის იმედგადანურული რეჟისორი. შემდეგ კი ნეკეტის რეპეტიციას, ათავისუფლებს დანარჩენ მონაზილებს, თავად კი ეროსისთან ერთად ფორტეპიანოს მიუჟღდება. ათახის ერთ კუთხეში შეყუული სტუდენტები ხედავენ, რომ რეჟისორი და მსახიობი რაღაცას უხსნიან ერთმანეთს, შემდეგ იღებენ

**სატროს ვერაფერს უმხელდა,
შევარდებოდა ბიბლიოთეკაში
და შესჩივლებდა – „რუსულან
სოლომონოვნა, ულმერთოდ
შეყვარებული ვარ!“**

ბგერას კლავიშზე და კვლავ კამათობენ. ასე გაგრძელდა კარგასანს. „უცებ სახეგაბრნებული ტოვსტონოგოვი წამოვარდა და ჯგუფს ახარა: „– ამხანაგებო! მომილოცავს პირველი სახის დაბადება!“ შემდეგ კი ეროსი ცალკე გაყვანან და უთხრა – თუ შეძლებ გაიგო, რა მოხდა ახლა შენში, დიდი არტისტი განდებიო. იმ დღიდან, ამ საიდუმლოს შეცნობა ეროსის (ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა.

გამხდარი, ცხვირი, იუმორით სავსე და ამავდროულად არაჩეულებრივად მორცხვი, მუდამ მომლიმარი და მიმდობი – ასეთი იყო სტუდენტი ეროსი მანჯგალაძე. თეატრმცოდნების ფაკულტეტის სტუდენტი გოგონები ინსტიტუტის დერეფანში აჭარბლებულს რომ შენიშნავდნენ, ერთმანეთს

ბევრი ამბობდა – აი, გამოჩენდა ხორავას შემოქმედებითი მემკვიდრეო, ზოგი კი პირიქით, მასში მკვეთრად სახასიათო მსახიობს ხედავდა. ხორავასაც გამორჩეულად მოსწონდა, ჯერ კიდევ სტუდენტ ეროსიზე ამბობდა, მისგან შესანიშნავი მსახიობი დადგება, უსათუოდ ოტელოს როლზე უნდა შევიყვანო. მართალია, ეროსი მანჯგალაძეს ოტელო არ უთამაშია, მაგრამ აკაკი ხორავაზე თვითონვე შეიყვანა სპექტაკლში „დიდი ხელმიწი“ მთავარ როლზე, რომელსაც თავად თამაშობდა.

ახალგაზრდა, ფიქრიანმა არტისტმა მოკლე ხანში რამდენიმე მრავალფეროვანი და საინტერესო მხატვრული სახე შექმნა: ზიმზიმოვი – „პეპოში“, ყვარყვარე – „ყვარყვარე თუთაბერში“, ოიდიპოსი – სპექტაკლში „ოიდიპოს მეფე“, სადაც მთავარ როლს აკაკი ხორავა, სერგო ზაქრიაძე და ეროსი მანჯგალაძე რიგ-რიგიბით თამაშობდნენ... 60-იან წლებში რუსთაველის თეატრში ბევრი რამ შეიცვალა, გმირულ-რომანტიკული პათოსის თეატრი ფსიქოლოგიურმა თეატრმა ჩაანაცვლა – თეატრს სათავეში მიხეილ თუმანიშვილი და მისი თანამოაზრები, ე.ნ. „შვიდკაცა“ ჩაუდგნენ. ეროსი მანჯგალაძეც ამ გუნდის ერთგული წევრი იყო სწორედ მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში გამოჩენდა ყველაზე უკეთ ეროსის მრავალმხრივი ნიჭიერება: იოზეფ პეშეკი („ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“), ლოპესი („ესპანელი მღვდელი“), უვოტაციონივი („ფილოსოფიის დოქტორი“), ბოცო („ზღვის შვილები“), დათვი („ჭინჭრაქა“, კავალერი რიპაფრატა („სასტუმროს დასასახლისა“), ფუკერა ფეიქარი („ზაფხულის ლამის სიზმარი“), გრაფი კენტი („მეფე ლირი“), გვადი ბიგვა...“

წლების მანძილზე ეროსიმ თავისი მაყურებელი შეიძინა, რუსთაველის თეატრში ბევრი სპეციალურად მის სანხავად დადგიოდა. ერთგულ მაყურებელთა რიგებში, ბუნებრივა, მანდოლინსნები ჭარბობდნენ, თუმცა უზომოდ მოკრძალებული მსახიობი, თავს ზედმეტის უფლებას არ აძლევდა. სერიოზულ ურთიერთობებზე კი საერთოდ არც ფიქრობდა – პირველი და უკანასენელი ქორწინების შემდეგ, ოჯახის შექმნის სურვილი ნამდვილად აღარ გასჩენია. თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული, სპექტაკლისთვის მზადებას რამდენიმე დღით ადრე ინყებდა, როდესაც საღამოს ნარმოდგენა ჰქონდა, იმ დღეს

„ოიდიპოს მეფე“

ჭორაობდნენ, რომ კონფლიქტი ლენასა

და ტოვსტონოგოვის არა მხოლოდ

პროფესიულმა ურთიერთობებმა გამოიწვია.

ეროსისა და მის პედაგოგს შორის საკმაოდ

დაძაბული საუბარიც შედგა.





„პეპო“

მოგონილი გამოცანა უთხრა

— მელია, აპა მითხარი, ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს, რა იქნებოდა?

დაბნეულმა ჩახავა-მელიამ, ბუნებრივია, პასუხი არ იცოდა და ისლა მოფიქრა, რომ კითხვა შეუბრუნა:

— აპა, შენ თვითონ თუ იცი მაგ გამოცანის პასუხი, მიპასუხე, რა იქნება?

— როგორ არ იცი, ბადრიჯანს ფრთები რომ ჰქონდეს, თვითმფრინავი იქნებოდა — მშვიდად მიუგო ეროსიმ, მედეა ჩახავა კი სასწაფოდ კულისებში შევარდა, რადგან სიცილს ვეღარ იკავებდა.

მედეა ჩახავას არც სხვა სპექტაკლებში აძლევდა მოსევნებას — „პეპოში“ უშუალო პარტიონორები იყვნენ, ცოლ-ქმარს თამაშობდნენ, ერთხელ, საალერსო სცენაში, ეროსი ისე გაერთო, რომ მედეა-ფეფელას უეცრად დაუყეფა. მედეამ საპასუხოდ კნავილი ატესა და დიალიგმა ყეფა-კნავილის ფორმა მიიღო. ორესტი სიცილისგან ისეთ დღეში ჩავარდა, რომ მუსიკისები დაკვრას ვეღარ ახერხებდნენ, ალფროვანებული მაყურებელი კი ტაში არ წყეტდა — ეს იმპროვზაცია ისე მოგწონა ყველას, რომ გადაწყვიტეს ყოველ სპექტაკლში გაეთამაშებინათ.

კინოში სათამაშოდ კი, რატომდაც, იშვიათად იწვევდნენ, სულ 14 ფილმში ითამაშა: „ყვარყვარე“, „ქალაქი ანარა“, „ნატ-ვრის სე“, „ქვევრი“, „ლონდრე“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ბოლში, თქვენ გელით სიკვდილი“, „თოჯინები იცინიან“... ზოგჯერ ეკრანზე საერთოდ არ ჩნდა, მაგრამ თავისი ხმის წყალიბით, არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა, მაგალითად, ელდარ შენგელას ფილმებში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „შერეკილები“ — ვასილ ჩხაიძის პიპინა და ქრსატეფორე სწორედ ეროსი მანჯგალაძის ხმით საუბრობენ. გახმოვანებისას ერთი დაუწერელი კანონი ჰქონდა — 4 საათზე მეტს არაფრით იმუშავებდა, ხმას განსაკუთრებით უფრთხილდებოდა და ყელს ბატქერიოფაგში საგანგებოდ დამზადებული იოდის ხსნარით იმუშავებდა. თეატრის მსაგასად, იმპროვიზაცია კინოშიც ყყვარდა, ერთხელ „ლონდრე“ გადაღებისას ეროსიმ უცებ სცენას გადაუხვია და თქვა: „სახლში ვარ თუ არა ვარ?“

— ეს ფრაზა რეჟისორს ისე მოეწონა, რომ ფილმში დატოვა და მოგვიანებით ფრთოსან გამონათქვამად იქცა. ფილმის „თოჯინები იცინიან“ იმ მონაკვეთის გადაღებისას, სადაც ეროსის სევერიანი იპოლოტე ხეირიას პერსონაჟს სახლში სტუმრობს, იპოლიტე თავის სანათესაოს აციობს. უეცრად ეროსიმ ფრანგულად დაიწყო ლაპარაკი, მსახიობები მოულოდნელობისგან დაბნენ, მაგრამ მაინც ბოლომდე ითამაშეს ეპიზოდი და ფილმშიც უცელელად დატოვეს.

1945 წელს, როდესაც რადიოთი საფეხბურთო მატჩის წაყვანა შესთავაზეს, ეროსი ფიდხანს ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა მისთვის ასეთი საყვარელი სპორტის სათანადო დონეზე შეფასებას. ამიტომ, ჯერ თბილისში ჩატარებულ ყველა მატჩი დაწყო სიარული და აღმოჩინა, ფეხბურთი ისეთ დონეზე არ იცოდა, პროფესიული კომენტარი რომ გაეკეთებინა. ამიტომ თავად დაწყო თამაში და პოზიციის, ტაქტიკისა და კომბინაციის გაგების უნარი თანდათან შეიძინა. რამდენიმე მატჩი ფირზე ჩანარი და მოისმინა, შემდეგ კვლავ ჩანერა და ბოლოს გადაწყვიტა: რაც იქნება, იქნება, გავალ ეთერში.

— ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს თბილისი! ჩვენი მიკროფონები თბილისის „დინამის“ სტადიონზეა! — გაისმა ეროსის ბუბუნა ხმა რადიომიმღებში.

40-50-იან წლების საქართველოში არ არსებოდა სპორ-

**ეროსიმ უცებ სცენარს
გადაუხვია და თქვა: „სახლში
ვარ თუ არა ვარ?“ — ეს ფრაზა
მოგვიანებით ფრთოსან
გამონათქვამად იქცა.**

ლელობაში, რომ რეჟისორები სთხოვდნენ, მომდევნო წარმოდგენაშიც გაიმეორეო. რობერტ სტურუს „ხანუმაში“ ეროსი და რამაზ ჩხიკვაძე 20 წუთის მანძილზე თამაშობდნენ დიალოგს, რომელიც პერსაზე სულ ერთ გვერდზე ეტევა, თანაც ყოველ სპექტაკლზე ერთმანეთისთვის ახალ-ახალ ოინებს იგონებდნენ.

ხშირად დამეც კი იმაზე ფიქრობდა, მეორე დღეს რით გაეოცებინა პარტიონები და მაყურებელი. სპექტაკლში „ჭინჭრაქა“, სადაც ეროსი დათვის რილს ასრულებდა, ერთ-ერთ სცენაში მხეცები ერთმანეთს გამოცანებს ეუბნებიან. ერთ დღეს, როდესაც მისი ჯერი მოვიდა, ეროსიმ მედეა ჩახავას უცბად თავისი

ტული და, მით უმეტეს, საფეხბურთო ტერმინოლოგია, ეროსი კი ცდილობდა რუსული ტერმინები არ გამოეყენებინა, ხალიან ფაქიზად და ზუსტად არჩევდა თითოეულ ფრაზას და გამოთქმას, რომელიც დღეს უკვე კანონად არის ქცეული. სპეციალური ტერმინოლოგიის შესამუშავებლად და დასაზუსტებლად, კოტე მახარაძესთან ერთად, პროფესორ ვუკოლ ბერიძესაც კი ესტუმრა. მხცივანი მეცნიერიც საოცარი გულისყურით მოეკი-

ლია და ეს საქმე ჩემზე უკეთ ესმისო.

საბჭოთა დროს, რადიორეპორტაჟის წაყვანა მხოლოდ მოსკოვში დაგენერირებული ინსტრუქციით შეიძლებოდა. ეს კანონები კომენტატორებს ხშირად ჩარჩოებში აქცევდა, თუმცა ეროსი მაინც ახერხებდა ინსტრუქციით დადგენილი წესების გვერდის ავლას — მაგალითად, ერთხელ, თბილისის „დინამის“ ერთო თამაშისას, პირველ ტაიმში ქართველების გატანილი გოლი


**— მელია, ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს, რა იქნებოდა? —
დაბნეულმა ჩახავა-მელიამ, პასუხი არ იცოდა. — როგორ არ იცი,
თვითმფრინავი იქნებოდა — მიუგო ეროსიმ. ჩახავა სასწრაფოდ
კულისებში შევარდა, რადგან სიცილს ვეღარ იკავებდა.**

და ამ საქმეს. მაშინ შემოიღო ეროსიმ ტერმინი თანამსაჯი, პირითი ხაზი, გამოთქმა — გოლი მომწიფდა. საერთოდ, ყველა სახის სპორტი უყვარდა, მაგრამ ფეხბურთი მისთვის სპორტზე მეტი იყო, ამიტომ მხოლოდ საფეხბურთო მატჩების რეპორტაჟი მიჰება და გუნდის თთოეული მარცხი მისთვის პირადი ტრაგედიის ტოლფასი იყო. საერთოდ, ფეხბურთოლის მკარების მატჩის გადაცემა შესთავაზეს, უარი თქვა და ურჩია, კოტე მატჩის უფრო გამოგადგებათ, ყოფილი კალათბურთე-

დამალა და მხოლოდ მაშინ გამოუცხადა რადიომსმენელებს, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ თამაში ფრედ დასრულდა. რასაკვირველია, განსაკუთრებით თბილისის „დინამის“ ქომაგობდა და გუნდის თთოეული მარცხი მისთვის პირადი ტრაგედიის ტოლფასი იყო. საერთოდ, ფეხბურთოლის მკარების გადაცემა ჩვევად არ ჰქონდა, თუ ვინმე ცუდად თამაშობდა, ეროსი, მისთვის დამახასიათებელი ტაქტი,

„რატომ იყო რევოლუციამდევი ბავშვი გოვერაჩლუები?“





„წარსული ზაფხული“

მოკრძალებით იტყოდა: ესა და ეს „დინამოელი“ დღეს ჩვეულ სიმაღლეზე ვერ არის... მხოლოდ ერთხელ ვერ მოითმინა – თბილისის „დინამო“ ერევნის „არარატთან“ საკუთარ მოედანზე სამარცხინო ანგარიშით 0:4-ს აგებდა, ქართველთა საჯარიმოსთან მსაჯმა ჯარიმა დანიშნა, ფეხბურთელებმა, წესისამებრ, ცოცხალი კედელი აღმართეს. გამწარებულმა ეროსიმ კი კბილებში გამოსცრა: „– მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელი!“

განსაკუთრებული სპორტული მონაცემებით ნამდვილად ვერ დაიკვეთნიდა – ფეხბურთის უკეთესი მცოდნე იყო, ვიდრე პრაქტიკოსი, თუმცა ისეთი ფანატიკური სიყვარულით უყვარდა სპორტის ეს სახეობა, რომ თეატრის გუნდში სამოყვარულო თამაშზე უარს, აბა, ვინ ეტყოდა?! ხმირად გასვლით შევედრებსაც მართავდნენ, ერთი ასეთი შევედრა ქუთაისის თეატრის გუნდთან მოაწყეს.

„დინამო“ „არარატთან“ სამარცხინო ანგარიშით 0:4-ს აგებდა, მსაჯმა ჯარიმა დანიშნა, გამწარებულმა ეროსიმ კი კბილებში გამოსცრა: „– მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელი!“

ეს გამონათქვამი იმ დღესვე ხალხში ფრთოსან ფრაზად იქცა, მატჩის შემდეგ კი ეროსი მობოლიშებით ამბობდა – რა ვენა, გავცხარდი და წამომცდა, მაინც არ უნდა მეტევა ასეო. სამაგიეროდ, მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „დინამომ“ 1964 წელს მოსკოვის „ტორპედოს“ მოუგო და საბჭოთა კავშირის პირველობა მოიპოვა.

– არის! არის! – ანგრევდა კომენტატორის ჯიხურის კედებს ბედნიერი ეროსის შეძახილი.

იმსანად თეატრებს საკუთარი საფეხბურთო გუნდები ჰყავდათ და ამსანაგურ შეხედრებს მართავდნენ. ეროსი მანჯგალაძეც, ბუნებრივია, შედიოდა რუსთაველის თეატრის გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მიუხედავად იმისა, რომ

ბის ბოლო წევთხე მასპინძლების კართან თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, ანგარიში 4:4-ია, გატრუნული მაყურებელი კი გულისფანცექალით ელოდება საჯარიმო დარტყმას, რადგან სწორედ ეს ქულა გადაწყვეტს მატჩის ბედს. პენალტის დარტყმა ეროსიმ არავის დაახება, ბურთი მიწაზე დადო, რამდენიმე მეტრით უკან დაიხია და საოცარი არტისტული ვირაჟებით გაექცნა, დაარტყა და... ბურთი არათუ კარს აცდა, არამედ სრულიად სხვა მიმართულებით წავიდა და კუთხურის ალამს მიღმა გადავარდა. თეატრებს შორის ამხანა-

მაზესი გოლი გაუტანია. ამ ამბით აღფრთოვანებულმა ეროსიმ ავანსცენდან დირექტორს ნიშნისმოგებით მიმართა: „**Маэстро, ვы видели какая была траектория!**“ – და ხელით ჰაერში ბურთის ტრაექტორია მოუხაზა. ხუმრობს სახაცვლიდ, მასტრომ თავის ორკესტრს საცეკვაო მუსიკა გაორმაგებულ რიტმში დააკვრევინა და ეროსის პერსონაჟი, თავადი ვანო ფანტიაშვილი, ისეთ ტემპში აცეკვა, რომ ბოლოს სიქაგაცლილი მსახიობი სავარძელში მიესვენა. „ო, შე ოხერო მაესტრო!“ – გადაულაპარაკა ეროსიმ ლეონ ოგანეზოვს.

ეროსის ბურთი არათუ კარს აცდა, არამედ სულ სხვა მიმართულებით წავიდა და კუთხურის ალამს მიღმა გადავარდა. დარცხვენილმა პირობა დადო, ფეხბურთელებს აღარაფერში გავამტყუნებო.


გური შეხედრა ფრედ დამთავრდა, დარცხვენილმა ეროსიმ კი პირობა დადო – დღეის შემდეგ, ფეხბურთელებს აღარაფერში გავამტყუნებო.

საფეხბურთო ამბების განხილვას სცენაზე ყოფნის დროსაც კი ახერხებდა, განსაკუთრებით სპექტაკლ „ხანუმას“ მსვლელობისას, სადაც იმპროვიზაციისთვის საკამაოდ ფართო ასპარეზი ჰქონდა. ერთ-ერთ წარმოდგენაზე, სცენიდან რუსთაველის თეატრის დირიჟორს ლეონ რგანეზოვასაც გაესაუბრა – წინა დღით, თბილისის „დინამოს“ ერევნის „არარატისთვის“ ულა-

31 წლის რომ იყო, კომუნისტურ პარტიაში შევიდა, ასეთ პოპულარულ დიქტორსა და მსახიობს, აბა, უპარტიოდ დიდხანს ვინ დატოვებდა?! წლების შემდეგ კი რუსთაველის თეატრის პარტყოიძიც გახდა. თუმცა, ეს თანამდებობაც იმისთვის უნდოდა, რომ დახმარებოდა ყველას – ნაცნობსა თუ უცწობს. ხანდახან კოლმეურნეობების დახმარებასაც კი სთხოვდნენ, ხან ტრაეტორი სჭირდებოდათ და ხან კომბაინი. ეროსიც ხათა ვერ უტეხდა. ერთი ბლოკნოტი ჰქონდა, სადაც წერდა, ვის რა სჭირდებოდა, ვის რითი უნდა დახმარებოდა. ეროსისთან, ბარ-

ეროსი მაჯგალაძე და სოსო ლალიძე მეგობარ საორანჟერებიან ერთად





„მე და ვაცნ ფანტიაზვილი, ორივე თავისარიანი ძართვები ვართ“

გად ეხერხებოდა. „ართი კოჩი ქუმორთუდო, ოსურს გირიგენ-ქავი,“ დაბალ ხმაზე ალილინგებოდა ბორის პაიჭაძე, ეროვნის უმაღლე ბანს მიაშველებდა და ფეხბურთელისა და კომენტატორის დუეტი ორ ხმაში იმპლებოდა. როდესაც შეზარხოშებული ეროვნის სუფრაზე „ტიალ დარიალაოს“ წამოიწყებდა, თითქოს ყველა ჭირ-ვარამისგან თავისუფლდებოდა, ავტყედებოდა თავისი მარტოვაცობა, მთელი ძალით ქუხდა მისი განუმეორებელი და ლამაზი ხმა...“

45-46 წლის იქნებოდა, როდესაც განაცხადა, 50 წლის გახე-დები და კომენტატორობასაც თავს დავანებები, მინდა მთელი ჩემი ერერია თეატრსა და კინოს მოგხემაროვ. მაშინ ბევრმა ეროვნის ეს სიტყვები ხუმრიპად ჩათვალა, მაგრამ 1975 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც 50 წლი შეუსრულდა, სიტყვა მართლაც შეასრულა. ეს გადაწყვეტილება მისი უსაყვარლესი მე-გობრის, სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენის, მიხელ მესხის ფეხბურთიდან წასვლის გამოც იყო გამოწვეული. მიშა რომ აღარ ითამაშებს, მეც შევეშვები კომენტატორობას – ხშირად ამპინდდა ეროვნი. რა თქმა უნდა, ბევრ ფეხბურთელთან მეგობრობდა, მაგრამ მიხელ მესხთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკაგშირებდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე – ჩემი პირველი შენ ხარ! წახევრად ხუმრიპით ეჭვიანობდა მიხეილ მესხის მეორე ახლო მეგობარზე, ვენორ ქვაჩახიაზე. ყოველთვის გახსავდეს, რომ მე ვარ შენი პირველი მეგობარი, ყველა დანარჩენი ჩემ მერეა. ერთხელ საახალწლო მისალოცი ბარათიც კი მისწერა: „ჩემი მიშიკო! სულითა და გულით გილო-ცავ შენ და შენ ოჯახის ყველა წევრს ახალ, 1973 წელს... ვი-ყავი და ვრჩები შენი პირველი მოსიყვარულე და თაყვანისმცე-მელი (ც. ქვაჩახიას ჯინაზე)!“

„კარგი, გენაცვალე, თანახმა ვარ, მაგრამ თუ კაცი ხარ, იუ-ბილეს არ დაამსგავსოთ – აფრთხილებდა ეროვნი ოთარ შან-იძეს, რომელსაც სამტრედიაში მსახიობის საიუბილეო საღამოს გამართვა დაევალა – მხოლოდ ამ პირობით დავთანხმდი ამ ლონისძებას, ყველაფერი სადაც უნდა იყოს, და თქვენ იცით ახლა, ქებით არ მომელათ, არაფერი გამიკეთებია ჯერ მე სამაგისო. საჩუქრები არ დამანახოთ! არ შეაწეხოთ ხალხი“. საღამოს ორგანიზატორმა შენინაღმდეგება დააპირა, მაგრამ ეროვნი არ აცალა – ჟო, თეატრიდან 5 კაცზე მეტს არ წამოვიყვან: ჯემალ ღანისეკის (ასე ეძახდა თანასოფლელ ჯემალ ღა-ღანიძეს), დათო კვირცხალისა, სოსო ლალიძეს და კიდევ რამ-დენიმეს, მეტს ვერ შევაწუხებ...“

„შევარცხვინე ის სადღეგრძელო, რომელიც ჭიქის ხელში აღებამდეა მოიფიქრებული! შევარცხვინე ის სიტყვა, რომელიც ჭიქის პირისკენ წალებამდეა გაფიქრებული! ვენაცვალე იმ სა-დღეგრძელოს, ჭიქის ხელში აღებისას რომ არის ჩამოსხმული, ჭიქასთან ერთად რომ არის აწეული და ჭიქასთან ერთად რომ არის ჩაფიქრებული!“ – ეროვნის თითოეულ სადღეგრძელოს საფუძვლად განსაკუთრებული ქვეტესტი და ფილოსოფია ედო. უბადღო თამადას ქეიფი და დროსტარება ძალიან უყვარდა, შესანიშნავი ხმის პატრონს სიმღერაც, რა თქმა უნდა, კარ-

იკლავდა მსახიობი და ეტლში ჩაჯდომა არაფრით არ სურდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლიეს და ხალხით გადაძეგილ გზაზე გაატარეს, გახარებული ეროვნის მაღლობებს იხდიდა და იმასაც კი ასზრდება, მის დასანახად ხეებზე ჩამოკონწიალებული ბაგშვები გაეფრთხილებინა – არ ჩამოვარდეთო!... ასეთი ბედნიერი დღეები მის ცხოვრებაში არც ისე ხშირი იყო...“

თუ სპექტაკლი არ ჰქონდა ან საღამოს სადმე არ იყო მიწვეული, სახლში აუცილებლად რამდენიმე მეგობარი ესტუმრებოდა: ვიქტორ ნინიძე, რეზო ტაბიძე, რეზო ჩხაიძე... მხოლოდ ახლო-ბედნიერი დღეები მის ცხოვრებაში არც ისე ხშირი იყო...“


ხოლმე. სუფრაზე ყოველთვის ჰქონდათ მოხარმული ტარანი, ლომ-მჭადი (ეროვნის საფირმო კერძი, რომელსაც ისე აცხობდა, რომ ცომის გუნდა გარედან მჭადივით იძრანებოდა, შიგნიდან კი ლომის მიგთავსი ჰქონდა), სახელდახელოდ შემწვარი კატლეტები, კიტრი-პომიდვრის საღამოს და კარგი ღვინო. თუმცა, რაც არ უნდა გახურებული ქეიფი გამართულიყო, ეროვნის 11 საათზე მეგობრებს ემშვიდობებიდა – „ბა, დავიშალეთ!“ – გამოაცხადებდა და ძმაკაცებიც ყოველგვარი პროტესტის გარეშე ტოვებდნენ ბინას. ერთხელ ამგვარ სცენას ბორის წიფური-აც შესწრებია და გაკვირვებულს უკითხავს, ეროვნი, ასე რატომ გვექცევიო. – რა ვქნა, ოქრო, დაძინებამდე ცოტა დრო მინდა

„აბა, დავიშალეთ!“ – გამოაცხადებდა და ძმაკაცებიც ყოველგვარი პროტესტის გარეშე მიღიოღნენ. ერთხელ ბორის წიფურიას უკითხავს, ასე რატომ გვექცევიო. „– რა ვქნა, ოქრო, დაძინებამდე ცოტა დრო მინდა დამრჩეს სამუშაოდ, არ გეწყინოთო!“

გრძელი ზარი, რომლის შემდეგაც სტუმარს კარს უდებდნენ და ის ეროვნის სახლში დაიშვებოდა. ჯერ წარდას გაგორებდნენ, ერთი-ორ ხელს მასპინძელსაც უსათუოდ მოაგებინებდნენ, რომ ხასიათი არ გაეფუჭებინათ, შემდეგ კი ვახშამს შეექცეოდნენ, რომელიც, ძირითადად, მხიარულ ქეიფში გადაიზრდებოდა

დამრჩეს სამუშაოდ და საკითხავად, არ გეწყინოთო!“ – უპასუხია ეროვნის. კითხვა კი მართლაც უზიმოდ უყვარდა, საწოლთან სულ ედო წიგნები, გასტროლების და კანოესპედიციების დროსაც მუდამ თან დაჰქონდა ქართული თანამედროვე ან კლასიკური ნანარმობები, რუსული თუ უცხოური ლიტერა-

აირველი უილგლო ქორწინების შემდეგ, სიყვარული აღარ და აღარ ეცვია, დართა განავლენები კი ჩვეულებრივ გადაისახად გადაისახად...



დირიჟორმა თავადი ისეთ ტემპში აცეკვა, რომ ბოლოს სიქაგაცლილმა ეროვნიმ შესძახა: „ო, შეოხერო მაესტრო!“

„შევარცხვინე ის სადღეგრძელო, რომელიც ჭიქის ხელში აღებამდეა მოიფიქრებული! შევარცხვინე ის სიტყვა, რომელიც ჭიქის პირისკენ წალებამდეა გაფიქრებული! ვენაცვალე იმ სა-დღეგრძელოს, ჭიქის ხელში აღებისას რომ არის ჩამოსხმული, ჭიქასთან ერთად რომ არის აწეული და ჭიქასთან ერთად რომ არის ჩაფიქრებული!“ – ეროვნის თითოეულ სადღეგრძელოს საფუძვლად განსაკუთრებული ქვეტესტი და ფილოსოფია ედო. უბადღო თამადას ქეიფი და დროსტარება ძალიან უყვარდა, შესანიშნავი ხმის პატრონს სიმღერაც, რა თქმა უნდა, კარ-



ეროსი - აზდაკი

აკმაყოფილებდა მის შემოქმედებით ინტერესებს... თუმცა ამის მიუხედავად, ეროსიმ მანც ითამაშა რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი სტურუას სპექტაკლებში: თავადი ვანო („ხანუმა“), პეტერ სტოკმანი („ექიმი სტოკმანი“), ბატონი ისიდორე („საბრალდებო დასკვანა“), ოთარ-ბეგი („ლალატი“)...

1977 წელს თეატრის სამსახიობი ფოიეში გამოაკრეს განცხადება, რომელიც იუნქებოდა, რომ სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრეში“ ეროსი მანჯგალაძე აზდაკის როლზე უნდა შევიდეს, ამ როლის პირველი და უბადლო შემსრულებელი რამაზ ჩხივაძე ავად გამხდარიყო. ეროსი ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა – ნებისმიერი მსახიობისთვის რთულია უკევ გამზადებულ დადგმაში შესვლა, მით უმტესს, როდესაც მისი წინამორბედი ამ როლს შეუდარებლად ასრულებს. მიუხედავად ამისა, ეროსიმ შეძლო და სრულიად განსხვავებული აზდაკი შექმნა, ზოგ მოენონა, ბევრი კი თვლიდა, რომ მისი პერსონაჟი სპექტაკლის ერთან სტილისტიკას მკეთრად ემიჯინებოდა, ალბათ ეროსიც გრძნობდა ამას... ასე იყო თუ ისე, რამაზი და ეროსი წარმოდგენას რიგორიგობით თამაშობდნენ. 1977 წლის მარტში თეატრი გერმანიის ქალაქ ზაარბირუკენში საგასტროლოდ მიიწვიეს. ბუნებრივია, ლეგენდარული „კავკასიური ცარცის წრე“ უცხოელი მაყურებლის უზომო ინტერესს იწვევდა. პირველსავე სპექტაკლს არნახული წარმატება და გამოხმაურება მოჰყვა, გენალურ წარმოდგენაზე ალპარაკდა პრესა და ტელევიზია, საერთაშორისო ფესტივალებს ხელმძღვანელები, იმპერიალისტი, სხვა თეატრების მმართველები დარბაზს მიაწყდნენ... დამკვიდრებული წესის მიხედვით, ერთი სპექტაკლი რამაზ ჩხივაძეს უნდა ეთამაშა, მეორე კი – ეროსი მანჯგალაძეს, მაგრამ გასტროლის ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ ყველა დაგეგმილი წარმოდგენა მხოლოდ რამაზ ჩხივაძეს ეთამაშა. ეროსიმ ეს ამბავი მშვიდად და სკანდალის გარეშე მიიღო... წყენას, როგორც სჩვეოდა, არ ამჟღავნებდა, მაგრამ თავისთვის, ჩუმად და მტკიცნეულად განიცდიდა... მშობლიურ თეატრსა და მსახიობს შორის გაჩენილი ბზარი კიდევ უფრო გაიზარდა...

იმ დროს კი, რუსთაველის თეატრიდან წასული მიხეილ თუმანიშვილი, თავის სტუდენტებთან ერთად, ახალ თეატრს ქმნიდა. ერთ დღეს, როდესაც ახალგაზრდა მსახიობები მორიგი რეპეტიციის შემდეგ თავიანთ პედაგოგს სახლისკენ მიაცილებდნენ, მათ ახლოს მანქანა გაჩერდა და იქიდან ეროსი მანჯგალაძე გადმოვიდა. მიხეილ თუმანიშვილს ძევლი „შვიდკაცელი“ რაღაც უგუნებოდ ეჩვენა, ეროსიმ ჯგუფი შეათვალიერა და უცებ თქვა:

„– რუსთაველის თეატრიდან მივდივარ, მიმილებ შენს სტუდიში?“

„– მიგილებ, – უპასუხა რეჟისორმა – ოლონდ, რუსთაველის თეატრიდან წუ წამოხვალ, ეს არც ისე უბრალო ამბავია, როგორც გერივენება.“

მეორე დღეს ეროსი თავის ახალგაზრდა კოლეგებთან მხიარული და აფორიაქებული მივიდა, თან საჩუქრად „ჭინჭრაქას“ ფარდა მიუტანა, რომელიც კინომსახიობთა თეატრის ფოიეში ჩამოკიდეს. მეგობრის რჩევაც გაითვალისწინა, რუსთაველის თეატრი საბოლოოდ არ მიატოვა, „იგი იქაც იყო და აქაც, როგორც ბონდის ხიდი – მდინარის ერთი წაპირიდან მეორეზე გადებული.“

თეატრისგან თავისუფალ დროს სატელევიზიო სპექტაკლებს უთმობდა, სადაც თითქმის ყველაგან მთავარ როლს თამაშობდა: „უჩინმაჩინის ქუდი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ

უყვარდა“, „გვადი ბიგვა“, „ხიდი“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება...“ იმ დროს ტელესპექტაკლებს ვერ ამონტაჟებდნენ, ამიტომ პავილიონში მთელ წარმოდგენას უწყვეტად, პაუზის გარეშე თამაშობდნენ და ფორზე ისე ინერდნენ, საქმარისი იყო, ვინმეს რამე შეშლოდა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება უწევდათ, ამიტომ ეროსი პარტიონებსაც ეხმარებოდა და თავადაც განსაკუთრებული სიზუსტით თამაშობდა, თუმცა სცენარიდან გადახვევა აქაც უყვარდა – ერთხელ რეჟისორი ზურაბ კანდელაკი საათანახევრიან სპექტაკლს – „გამარჯვება, ჩვენო მამებო!“ იღებდა, მოქმედება ერთ ითახში მიმდინარეობდა, ამიტომაც უწყვეტად იღებდნენ, ეროსი ერთ-ერთი უარყოფითი მამის როლს ასრულებდა. გადალების დასრულებამდე 10 წუთილა რჩებოდა. სცენარის მიხედვით, ეროსის პერსონაჟი გაბრაზებული ტოვებს მშობელთა კრებას და ოთახის კარს აჯახუნებს. ეროსიმ ყველაფერი სწორად გააკეთა, კარი გაიჯახუნა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად ოთახში თავი შემოყო და მასავლებელს უკმეხად მიაძახა: „– თოჯ მე, გოგებაშვილ!“ სცენარში მსგავსი არაფერი ეწერა, მაგრამ ეროსის საქციელი ისე ორგანულად ჩაჯდა სცენაში, რომ სატელევიზიო პრემიერის შემდეგ მთელ თბილის მოედო.

ერთხელ, მოსკოვში, ეროსის პატარა, იაპონური ჯიშის სასაცილო ლეკვი აჩუქეს. სახელი იმნამსვე მოუფირა – საყვარელი ძროხის პატივსაცემად, ძალასაც ტანგო დაარქვა. ისე შეუყვარდა, რომ ბევრ ადამიანს ერჩია, მასზე აუგის თქმას კი პირად შეურაცხყოფად იღებდა და საშინლად სწყინდა. არადა, ფრიად შემანუხებელი ძალი, სტუმარს ისე არ გაუშვებდა სახლიდან, რომ, სულ ცოტა, შარვლის ტოტი მაინც არ დაეხია, მაგრამ მასპინძლის შესით ხმას ვინ ამოიღებდა?! ჩივილის შემთხვევაში, სტუმარს იმნამსვე კარისკენ მიუთიობდა, თან ამაყად დაუყოლებდა: „– ხო!“

როდესაც რუსთაველის თეატრი რუმინეთში გასტროლებზე მიემგზავრებოდა, ეროსის ტანგოს წაყვანის უფლება არ მისცეს. განაწყენებულმა მსახიობმა, ბუქარესტში წასვლაზე უარ განაცხადა. საბოლოოდ, როგორც იქნა, დაიყოს მის ტანგოს ცივ ნიავს არ მიაკარებდა. გასტროლების დასასრულს, რუმინეთში საბჭოთა საელჩომ ქართველ მსახიობებს

„ართი კოჩი ქუმორთუდო“ – დაბალ ხმაზე ალილინდებოდა ბორის პაიჭაძე, ეროსიც ბანს მიაშველებდა და ფეხბურთელისა და კომენტატორის დუეტი ორ ხმაში იშლებოდა.

ბანკეტი გაუმართა. ელჩმა ეროსის სადლეგრძელოს წარმოთქმა სთხოვა. ეროსი წამოდგა, ჭიქა ასწია და თქვა: „– ქავი ზანგი!“

რასაკვირველია, საელჩოს თანამშრომლებს თბილიში ეულად დარჩენილი ტანგოს შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონ-

და, ამიტომ ჩათვალება, რომ მსახიობი არგენტინული ტანგოს მოტრიულება და ორკესტრს სასწრაფოდ ეს მელოდია დაკავრევონეს. გამარიანულებული ქართველები საცეკვაოდ წარმოშალენ, სევდანი ეროსი მანჯგალაძე კი თავის საყვარელ ოთხფეხა მეგობარზე ფიქრობ-





„საბრალდებო დასკვნა“

და... ტანგოს სიკვდილი ძალიან განიცადა და დიდი მოწინებით კუს ტბაზე დასასაფლავა. დოდო აბაშიძემ და სესილია თაყაიძე-ვილმა კი ანონიმური დეპეშა გაუგზავნეს: „– ვიზიარებთ შენს მწუხარებას ტანგოს უძროოდ გარდაცვალების გამომ“. ეროსი იმამსვე მიხვდა, ვისი „შეთხულიც“ იყო დეპეშის ტექსტი,

ჰქონდა გატენილი. ყველამ იცოდა, რომ ეროსი პანაშვიდებზე და დაკრძალვებზე სიარულს ერიდებოდა, იმ ოთახში, სა-დაც მიცვალებული ესვენა, საერთოდ ვერ შედიოდა. ერთხელ, მეზობლის გარდაცვალების გამო, სახლიდანაც წავიდა და სასტუმრო „თბილისში“ იქირავა ოთახი, დროებით იქ გადაბარგდა,

„სესილია ძალიან წუხდა ეროსი მარტო რომ ცხოვრობდა და ხშირად ხუმრობით ეტყოდა ხოლმე: – მაგ ტანგოს ყოლას, ჯობდა ერთი მარგო მოგეყვანა სახლშიო!“

თავიდან ცოტათი ენყინა კიდეც, მაგრამ მერე ძველ მეგობრებს ეს ონი დიდსულოვნად აპატია. სესილიასა და ეროსის განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდათ, თანაც ერთ ეზოში ცხოვრობდნენ და ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იცოდნენ. სესილია ძალიან წუხდა ეროსი მარტო რომ ცხოვრობდა და ხშირად ხუმრობით ეტყოდა ხოლმე: – მაგ ტანგოს ყოლას, ჯობდა ერთი მარგო მოგეყვანა სახლშიო! ეროსიც ძლიერ განიცდიდა მარტოსულობას, მაგრამ რა ექნა – პირველი უილბლო ქორნინების შემდეგ, სიყვარული აღარ და აღარ ენვია, დროთა განმავლობაში კი ჩვეულებრივ ბერბიჭად გადაიქცა, თავიანთ სახლში სხვებთან ერთად რომ ვეღარ ცხოვრობენ...

ცხოვრების ბოლოს სიკვდილის განსაკუთრებული შიში დასჩემდა, ბინაში ყველგან წამლები ენყო – საძინებელშიც, სამზარეულოშიც, დად ოთახშიც. ხშირად ჯიბეებიც წამლებით

სიცილითა და ხუმრობით გადაეფარა მტანჯველი განცდები. რამდენჯერმე უთქვამს რეჟისორისთვის: საღმოს ექვსი საათიდან უკვე ვფიქრობ, რამხელა ღამეა წინ – მარტოობის გრძელი, გრძელი, უძირო ღამე... „აი, ასეთმა მისმა განწყობილებაშ მიგვიყვანა ერთ ჩანაფიქრთან – წერდა მიხეილ თუმანიშვილი – გადავწყვიტეთ დაგვედგა სპექტაკლი წარსულზე, განცდილზე,

ლეთ საქართველოს ერთ პატარა ქალაქზე, რომელშიც ადამიანები თავიანთი პრობლემებით, სიხარულითა და სატყივარით ჩვეულებრივი და, ამავდროულად, საოცარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. გატაცებით მუშაობდა სპექტაკლის წამყვანის როლზე, რამდენიმე რეპეტიცია მის ბინაში ჩაატარეს და პირველივე მონახაზიდან რეჟისორისთვის ნათელი გახდა, რომ მისი ძველი

„რამდენჯერმე უთქვამს რეჟისორისთვის: საღმოს ექვსი საათიდან უკვე ვფიქრობ, რამხელა ღამეა წინ – მარტოობის გრძელი, გრძელი, უძირო ღამე...“

გარდასულზე, თითქმის დავინუებულზე, სიკვდილზე, ქორწილზე... ერთ სიტყვით, გველპარაკა იმაზე, რაც კი ჩვენ განვიცადეთ და გვინახავს სიცოცხლეში...“

რეჟისორმა ეროსის თორნოთ უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი“ შესთავაზა, ჩათვალა, რომ ეს ნანარმოები მის განწყობილებას შეეფერებოდა. ეროსი მშინვე ბავშვივით აენთო, სიხარულით დათანხმდა ახალ როლს. შემდეგ, რეჟისორსა და მსახიობს, ამ ნანარმოების გადმოქართულების აზრი დაებადათ, ეროსიმ მაშინვე რეზო გაბრიაძეს დაურეკა, რომელმაც ნახევარ წელინადში საოცარი პიესა დაუბრუნა, ამბავი დასავ-

გეგობარი ამ პერსონაჟში რაღაც მალულს, ძალიან პირადულს და იდუმალს ხედავდა...“

26 იანვარს, დილის 11 საათი იქნებოდა, კინომსახიობთა თეატრის ახალგაზრდა მსახიობი რეზო იმნაშვილი თეატრის შესავლელში ეროსის რომ შეხვდა:

– გუშინ რატომ არ მოხვედით შენ და ზაზა? – ლიმილით ჰკითხა ეროსიმ.

– რეპეტიცია გვქონდა, ბატონო ეროსი...
– ვიცა, ვიცი... ამ საღმოს აუცილებლად მოდით.
შემდეგ რობერტ სტურუას მამის დაკრძალვაზე წავიდა.

რამაზ ჩხილვაძესთან ერთად





ჩაკეთიშვილის პირველი მოდერნისტული თეატრი

რობერტმა რამდენჯერმე სთხოვა, ქელებში გვითამადეო, მაგრამ ეროსიმ სასტიკად იუარა – შეუძლოდ ვარ, ვერც დავლევ, არაფრით არ შემიძლიაო. სასაფლაოზეც კი ვერ გაჰყევა. ბოლო ხანებში მართლაც არ იყო კარგად, თავის უმცროს მეგობარ სისო ლალიქეს იმასაც ეუბნებოდა, ერთი კერძა სიზმარში მამაჩემს ვხედავ, უსათუოდ იმ ქვეყნად უნდა წამიყვანოსო...

ვა. რასაკერველია, ისიც სასწრაფოდ მიგარდა, უხმოდ შევიდა ეროსის საძინებელ ოთახში, სინათლე აუნთო და შეუძახა: – ადექი, ბიჭო, რას გვემასხრებიო. ცოტა ხანში ეროსი მართლაც ადგა, ხელები გაშალა და ფართოდ ამოისუნთქა, თითქოს თავს უკეთ გრძნობდა, ტელევიზორი ჩართო და სამზარეულოში გავიდა. იმედმოცემულ სტუმრებს უეცრად სამზარეულოდან და-

ცხოვრების ბოლოს სიკვდილის განსაკუთრებული შიში დასჩემდა, ბინაში ყველგან წამლები ეწყო – საძინებელშიც, სამზარეულოშიც, დიდ ოთახშიც. ხშირად ჯიბეებიც წამლებით ჰქონდა გატენილი.

საღამოს რეზო იმნაიშვილი, დაპირებისამებრ, ეროსისთან მივიდა. მასპინძელი სახლში მარტო იყო, მაგიდას შემოუსხდნენ და მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატზე დაწყეს საუბარი, ეროსი არ მიჩნევდა, თუმცა ახლგაზრდა კოლეგამ უგუნებობა მაინც შეატყო. ცოტა ხანში ეროსი თავის ოთახში დასასვენებლად გავიდა.

– ცუდად ხომ არა ხართ, ბატონო ეროსი, სასწრაფო დახმარება ხომ არ გამოვიდახო? – შეაპარა რეზომ.

– ნუ მაძინებ, ბიჭო, გაციებული ვარ და გამივლის. ჭირისუფალივით ნუ მადგახარ, განიზი იქით – დაამშვიდა ეროსიმ.

შეშფოთებულმა რეზო იმნაიშვილმა ჩუმად მაინც დაურეკა ეროსის ბავშვობის მეგობარ რეზო ტაბიქეს და მისვლა სთხო-

მართალია? ნუთუ ეს მართალია?“ კითხულობდა წაცნობი თუ უცნობი. არავის უნდოდა ამ თავზარდამცემი ამბის დაჯერება...

31 იანვარს რუსთაველის თეატრის სცენაზე დაასვენეს. ხალხის ხაკადი არ წყდებოდა, გაივსო არა მხოლოდ თეატრი, არამედ მთელი რუსთაველის პროსპექტი. ისმოდა სამგლოვიარო მუსიკა, „ავე მარია“, რადიოჩანანერები, წაწყვეტები

„– მოდით, წელიწადში ერთხელ მანც, მხოლოდ რამდენიმე საათით, გულწრფელად ვუცეკიროთ ერთმანეთს თვალებში, გვიყვარდეს ერთმანეთი არა თეატრალურად, ისე, უბრალოდ, ადამიანურად!

არა ვიშურნოთ... არა ვიძულვოთ... არა ვიფლიდოთ... არა ვიქადნოთ!..

სესილია შიშით ოთახში ვერ შედიოდა, ხალხს აჩერებდა, პანიკას ნუ ქმნით, ეროსის სიკვდილი არ არის მართალიო...

სპექტაკლებიდან... თვალცრემლიანი კოლეგები ძლიერ ეუბნებოდნენ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს, ბოლოს ედიშერ მაღალაშვილმა გარშემომყოფა სთხოვა, მშობლეური სცენიდან უკანასკნელად ტაშით გაეცილებინათ დიდი მსახიობი – გულამისკვნით ქვითინებდა და თან ტაშს უკრავდა მთელი სცენა, პარტერი, იარუსები... ტაში გადავიდა ქუჩაში, რუსთაველის პროსპექტზე... თბილისი უკანასკნელად უმართავდა ოვაციას საყვარელ არტისტს!.. თეატრზე დამონტაჟებული დინამიკებიდან კი ეროსის ხმა ისმოდა:

„განმორებისას იმდევნერ ვუთხრათ უბრალო, კაცური ჭავშარითი გართმანისათვის, რომ სამუდამოდ ჩაგვებეჭდოს გულსა და გონებაში!“

ანაო მირიანაშვილი

